



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 33/00

„20“ მარტი 2010

ქ. თბილისი

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ჯერენაშვილი

„20“ მარტი 2010 წელი

ეგზ. N2

ობიექტი: სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა
და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესრულების
ფინანსური (კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10



საქართველოს კონტროლის პალატა

www.control.ge

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის აქტი

ობიექტი: სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და
ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური
(კამერალური) აუდიტი

პერიოდი: 01/01/09-01/01/10

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი
აპრილი, 2010

შინაარსი / საძიებელი

ნაწილი I. შესავალი	გვ. 2
ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	გვ. 2
ნაწილი III. ძირითადი ტექსტი	გვ. 3
1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:	გვ.3
1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;	გვ.3
1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;	გვ.4
2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება):	გვ.6
2.1 არაფინანსური აქტივების ცვლილება;	გვ.6
2.2 დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.	გვ.7
ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პაუზისმგებლობები და უფლებამოსილებანი	გვ.8
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	გვ.8
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები.	დანართი A
გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები.	დანართი B

I. შესავალი

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 10 მარტის №32/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ადმინისტრაციის დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში. იურიდიული მისამართი: ქ. მცხეთა, 3300. დავით აღმაშენებლის ქ.№73. ტელ: (+995 32) 24 45 51

აუდიტის ჯგუფი - მთავარი აუდიტორი - კახაბერ უშიკიშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი); (საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი).

სააუდიტო პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 10/03/2010 – 10/04/2010 (დაწყება-დამთავრება)

შემოკლებანი:

ადმინისტრაცია - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია (ორგანიზაციული კოდი 15 00).

II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

ა) დარღვეულია ფინანსთა მინისტრის ბრძანება – N1321, მუხლი – N28, 28.12.07, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, კერძოდ არ მომხდარა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს N529 – 07.09.09 (ცვლილება N544 – 11.09.09) ბრძანების შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციისთვის მცხეთა-მთიანეთში უსასყიდლოდ გადაცემული 80 (ოთხმოცი) ტონა გადამუშავებული ნავთობპროდუქტის (დიზელი) ასახვა 2009 წლის ნაერთ ბალანსში.

ბ) დარღვეულია „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით (თავი VII, მუხლი 21) განსაზღვრული უფლება, კერძოდ წინა წელს წამოქმნილი დავალიანების ანაზღაურებისას არ მომხდარა შეთანხმება ფინანსთა სამინისტროსთან.

III. ძირითადი ტექსტი.

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1 წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება;

„2009 წლისათვის მხარჯავი დაწესებულებების კადრების და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 ივნისის № 139 დადგენილებით 2009 წლისათვის ადმინისტრაციას (ორგანიზაციული კოდი 15 00) კადრების ზღვრული მოცულობა განესაზღვრა 21 ერთეულით, ასიგნებების ზღვრული მოცულობა 590.0 ათასი ლარით. საბიუჯეტო განაცხადი ადმინისტრაციის მიერ წარდგენილ იქნა 2008 წლის 15 აგვისტომდე დამტკიცებული ზღვრული მოცულობების შესაბამისად.

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით (30/12/08; № 945) ადმინისტრაციას განესაზღვრა მთლიანი ასიგნება 590.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მომუშავეთა რიცხოვნობა 21 ერთეულით.

შრომის ანაზღაურების მუხლში დაზუსტებული გეგმის ნაკლებობა დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გამოწვეულია 2009 წლის 22 ივნისის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა № 286 - ის საფუძველზე, აღნიშნული მუხლიდან ვალდებულებების მუხლში 0.2 ათასი ლარის გადატანით (სასამართლოს მიერ დაკისრებული სახელფასო ვალდებულება თანამშრომლის მიმართ).

არაფინანსური აქტივების მუხლში წარმოდგენილი ბალანსის მიხედვით დაზუსტებული გეგმის ნაკლებობა დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 4.4 ათასი ლარით, გამოწვეულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2009 წლის 15 ივლისის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა № 368 - ის საფუძველზე აღნიშნულ მუხლში II კვარტალში ასიგნების 4.4 ათასი ლარის შემცირებით.

1.2 დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით;

2009 წლის 4 დეკემბერს ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად (შემცირდა 15.9 ათასი ლარით „საქონელი და მომსახურების მუხლი“ და 4.4 ათასი ლარით „არაფინანსური აქტივების“ მუხლი) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას მცხეთა-მთიანეთში დაუზუსტდა დაფინანსება 569.7 ათასი ლარის ოდენობით (იხ. ცხრილი № 1)

ცხრილი № 1

(ათას ლარებში)

მუხლის დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	საკასო ხარჯი	ფაქტური ხარჯი	სხვაობა ფაქტურსა და საკასო ხარჯებს შორის
2009 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული	590.0	569.5	-	-	-	-	-
ხარჯები	580.0	563.9	563.8	563.8	563.8	735.5	171.7
მათ შორის							
შრომის ანაზღაურება	387.0	386.8	386.8	386.8	386.8	386.8	0.0
თანამდებობრივი სარგო			270.7	270.7	270.7	270.7	0.0
პრემია			116.1	116.1	116.1	116.1	0.0
საქონელი და მომსახურება	192.9	177.0	177.0	177.0	177.0	177.0	0.0
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება			51.7	51.7	51.7	51.7	0.0
მივლინებები			2.6	2.6	2.6	2.6	0.0
ოფისის ხარჯები			54.4	54.4	54.4	54.4	0.0
წარმომადგენლობითი ხარჯები			2.6	2.6	2.6	2.6	0.0
სამედიცინო ხარჯები			0.5	0.5	0.5	0.5	0.0

ტრანსპ. და ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯები			42.9	42.9	42.9	42.9	0.0
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			22.2	22.2	22.2	22.2	0.0
ძირითადი კაპიტალის მოხმარება						171.7	171.7
სოციალური უზრუნველყოფა	0.1	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არაფინანსური აქტივები	10.0	5.6	5.6	5.6	5.6	-	-
მანქანა დანადგარები			5.6	5.6	5.6	-	-

მუხლობრივი გადანაწილება განხორციელებულია „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მთლიანი ასიგნების 10 % -ის ფარგლებში.

ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლში სხვაობა 171.7 ათასი ლარის ოდენობით, გამოწვეულია ძირითადი აქტივების ცვეთის დარიცხვით.

ადმინისტრაციის პერსონალსა და მის მომსახურეობაზე გაწეული დანახარჯები: (იხ. ცხრილი № 2)

ცხრილი № 2

(ათას ლარებში)

ხარჯი	ერთეული	გაწეული ხარჯი 2009 წლის განმავლობაში	საშუალო ხარჯი თვეში ერთ ერთეულზე
თანამდებობრივი სარგო	21	270.7	1.1
პრემია	21	116.7	0.3
საკომუნიკაციო ხარჯი	21	19.6	0.08
ავტოტრანსპორტის საწვავის ხარჯი	4	38.6	0.8
ტექმომსახურება	4	5.4	0.1

2. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება):

2.1 არაფინანსური აქტივების ცვლილება:

2009 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მიხედვით სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას მცხეთა - მთიანეთში „არაფინანსური აქტივების მუხლით“ გამოეყო 10.0 ათასი ლარი, რამაც 2009 წლის ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეადგინა 5.6 ათასი ლარი, რაც საანგარისო პერიოდში მთლიანად იქნა გახარჯული. ხარჯები გაწეულია ძირითადად „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის მუხლით“.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 მაისის №378 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2009 წლის 17 ივნისის №1681-გ/09 წერილისა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანება №1-1/1630 02.07.09-ის შესაბამისად გუბერნატორის ადმინისტრაციას უსასყიდლოდ გადაეცა სამი ერთეული ტექნიკა (ბულდოზერი, გრეიდერი, ექსკავატორი) - 1 012.6 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, რაც დადასტურებულია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტთან 2009 წლის 19 აგვისტოს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ 2009 წლის № 653, 28 ოქტომბრის ბრძანების შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას მცხეთა-მთიანეთში უსასყიდლოდ გადაეცა 14 სხვადასხვა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალება 243.6 ათასი ლარის ღირებულების (ორი ერთეული - „მერსედეს ბენცი“, ხუთი ერთეული - „ივეკო“, ორი ერთეული - „რენო“, ერთი ერთეული - „ვოლკსვაგენი“, ერთი ერთეული „მიცუბიში“ და სამი ერთეული ავტომობილი „ვაზ“), რაც დადასტურებულია ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან 2009 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს N529 - 07.09.09 (ცვლილება N544 - 11.09.09) ბრძანების შესაბამისად სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციას მცხეთა-მთიანეთში უსასყიდლოდ გადაეცა 80 (ოთხმოცდაათი) ტონა გადამუშავებული ნავთობპროდუქტი (დიზელი). გადმოცემის მიუხედავად დიზელის საწვავი არ იქნა ასახული 2009 წლის ნაერთ ბალანსში, რითიც დარღვეულია ფინანსთა მინისტრის ბრძანება - N1321, მუხლი N28, 28.12.07, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.“

2.2 დებიტორ-კრედიტორების ცვლილება.

საანგარიშო პერიოდში დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მდგომარეობა:
(იხ. ცხრილი № 3)

ცხრილი № 3

(ათას ლარებში)

დავალიანების დასახელება	2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	დავალიანების ზრდა/შემცირება საანგარიშო პერიოდში
დებიტორული დავალიანება	0.023	0.021	0.002
კრედიტორული დავალიანება	65.5	65.4	0.1

კრედიტორული დავალიანების შემცირება 0.1 ათასი ლარით გამოწვეულია 2008 წლის დეკემბრის დავალიანების გადახდით ს.ს. „გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიისთვის,“ რომლის ანგარიშსწორება მოხდა 2009 წლის 28 იანვარს, რაც არ უნდა განხორციელებულიყო, რადგან დაუშვებელია წინა წელს წარმოქმნილი დავალიანების გადახდა მიმდინარე წლით გამოყოფილი ასიგნებანით ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე.

აღნიშნული შესაძლებელი იყო „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის I პუნქტის საფუძველზე. კერძოდ, „წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელია გამოყენებული იქნეს 2009 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ასიგნებები, იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ შესაბამის დაწესებულებასა და ორგანიზაციას“.

დებიტორული დავალიანება შემცირებულია 0,002 ათასი ლარით.

IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პაუზისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.

მთავარი აუდიტორი:

კახაბერ უშიკიშვილი

ხელმოწერა/თარიღი

 20.05.2010

დანართი A - აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები.

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის ჩატარების პერიოდში ადმინისტრაციაში, პასუხისმგებელი პირები იყვნენ:

ცეზარ ჩოჩელი - სახელმწიფო რწმუნებული

გივი ამირხანაშვილი - სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე

ნუნუ მღებრიშვილი - სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე

იოსებ სხირტლაძე - საფინანსო სამსახური უფროსი - 2 ნოემბრამდე.

ელდარ გულბათაშვილი - საფინანსო სამსახური უფროსი - 2 ნოემბრიდან.

თამუნა ხვედელიძე - მთავარი ბუღალტერი

დანართი B - გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლისას გამოყენებულია შემდეგი ლიტერატურა:

- საქართველოს კანონი „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ფორმების დამტკიცების შესახებ“.
- ბალანსები და მისი დანართები; ხარჯთანუსხის შესრულების ანგარიში; ფინანსთა სამინისტროს წერილები.